25/04/2020

მტრები სინამდვილეში მკაცრი მეგობრები არიან

წმინდა ნიკოლოზ სერბი ბრძანებს: სჯობს კაცს მეგობარი არ ჰყავდეს, ვიდრე ჰყავდეს და პატივისცემის ღირსი არ იყოს. ასეთ მეგობრებთან ცხოვრება მსგავსია მოლიპული გზისა, უფსკრულში რომ მიჰყავხარ.

მეგობრებმა მე მიწას მიმაჯაჭვეს, მტრებმა კი მისგან გამათავისუფლეს... მდევრით დამფრთხალი მხეცი უფრო იპოვის საიმედო თავშესაფარს, ვიდრე თავისუფლად მორონინე, ასევე მეც, მტრებს გამოქცეულმა, უსაფრთხო ნავსაყუდელი შენს ფრთებქვეშ ვპოვე, სადაც ვერც მეგობრები და ვერც მტრები ჩემი სულის დაღუპვას ვერ შეძლებენ... მხოლოდ მას სძულს მტრები, ვინც არ იცის, რომ მტრები სინამდვილეში მკაცრი მეგობრები არიან.

— karibche.ambebi.ge